საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

# საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

# ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი




- 2010 წლიდან საქართველოს ეკონომიკა დაუბრუნდა სტაბილური განვითარების გზას;
- 2011 წლის განმავლობაში 2010 წელთან შედარებით საქართველოს ეკონომიკა 3,5 მილიარდი ლარით გაიზარდა;
- 2011 წლის ბოლოსთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მ 3 215,4 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 592,4 აშშ დოლარით მეტია, ვიდრე 2010 წლის ბოლოსთვის არსებული მაჩვენებელი.

# ფისკალური სტაბილურობა: საბიუჯეტო დეფიციტის კლებადი ტენდენცია




- სწორი საბიუჯეტო დაგეგმარების შედეგად შესაძლებელი გახდა საბიუჯეტო დეფიციტის სწრაფი ტემპებით შემცირება;
- 2011 წელს საბიუჯეტო ასიგნებების 23,5% მიიმართა სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რაც ქვეყნის გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის საწინდარს წარმოადგენს და ხელს უწყობს დასაქმებას.

# სახელმწიფო ვალის მდგრადობა

## სახელმწიფო ვალის შეფარდება მშპ-სთან




## საგარეო ვალის შეფარდება მშპ-სთან




## 2011 წელი – სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დადებითი ტენდენცია



# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები – ზრდადი ტენდენცია




2010 წელთან შედარებით 2011 წელს მიღებული შემოსულობები გაიზარდა 355,1 მლნ ლარით;

## სახელმწიფო სახსრები

| დასახელება | 2011 გეგმა | 2011 ფაქტი | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|
| გადასახადები | 5,775.0 | 5,802.0 | 100.5% |
| სხვა შემოსავლები | 390.0 | 417.2 | 107.0% |
| პრივატიზაცია | 170.0 | 189.8 | 111.7% |
| სესხების დაბრუნება | 60.0 | 69.5 | 115.8% |

## საგარეო დაფინანსება

- დონორებისგან მიღებული გრანტები - 223,1 მლნ ლარი;
- 2011 წლის განმავლობაში საგარეო წყაროებიდან მიღებულმა კრედიტებმა შეადგინა 566.8 მლნ ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად, მათ შორის:
  - საგზაო ინფრასტრუქტურა - 212,2 მლნ ლარი;
  - ენერგო ინფრასტრუქტურა - 107,2 მლნ ლარი;
  - წყალ-კანალიზაციის ინფრასტრუქტურა - 70,7 მლნ ლარი;
  - მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - 57,8 მლნ ლარი;
  - სხვა დანარჩენი სფეროები (მშ. სოფლის მეურნეობა) - 118,8 მლნ ლარი;

# სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები – ზრდადი ტენდენცია




- 2010 წელთან შედარებით 2011 წელს გაწეული ხარჯები გაიზარდა 487,0 მლნ ლარით
- 2011 წლის განმავლობაში ნაერთი ბიუჯეტის (ცენტრალური, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტების კონსოლიდირებული ბიუჯეტი) შემოსულობებმა შეადგინა 8 064,7 მლნ ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა - 7 969,0 მლნ ლარი, შესაბამისად ნაერთი ბიუჯეტის დეპოზიტებზე არსებული ნაშთი გაიზარდა 95,7 მლნ ლარით;

# სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები




**სხვა ხარჯები** შემდეგი ძირითადი ღონისძიებებისგან შედგება



# შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – გაზრდილი ბიუჯეტი




- 2010 წელთან შედარებით 2011 წელს ჯანდაცვის სამინისტროსთვის გამოყოფილი სახსრები გაიზარდა 69,2 მლნ ლარით
- 2011 წელს განხორციელდა ასაკით პენსიონერებისა და I კატეგორიის ინვალიდების პენსიების 20 ლარით ზრდა;
- საპენსიო უზრუნველყოფის ფარგლებში მიიმართა 987,3 მლნ ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე და მათ დაზღვევაზე მიიმართა 277,2 მლნ ლარი;
- გრძელდებოდა სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარება და წლის განმავლობაში სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ დასრულდა 35 ახალი საავადმყოფოს მშენებლობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 34 საავადმყოფოს.




- 2010 წელთან შედარებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი სახსრები გაიზარდა 27,4 მლნ ლარით
- განხორციელდა ყველა სერთიფიცირებული მასწავლებლის ხელფასების ზრდა, ხოლო სერთიფიცირებული მასწავლებლების საუკეთესო 25%-ს დაენიშნა 1000 ლარიანი ხელფასი;
- აშენდა 5 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 250-ზე მეტ საჯარო სკოლას;
- სოციალურად დაუცველი ოჯახის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილ იქნა სასკოლო სახელმძღვანელოებით;

# საგზაო ინფრასტრუქტურა – გაზრდილი ბიუჯეტი




- 2010 წელთან შედარებით 2011 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად მიიმართა 30,9 მლნ ლარით მეტი;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობაზე მიიმართა 170,1 მლნ ლარი;
- ავტომაგისტრალის ახალი, ზესტაფონი-ქუთაისი სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობაზე მიიმართა 33,2 მლნ ლარი;
- აჭარაში შემოვლითი გზის მშენებლობაზე მიიმართა 24,4 მლნ ლარი;
- სამცხე-ჯავახეთში გზების რეაბილიტაციაზე მიიმართა 75,3 მლნ ლარი;
- სხვადასხვა რეგიონებში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და მათი მოვლა-შენახვის მიზნით მიიმართა 277,8 მლნ ლარი